ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 390. ხუთშაბათი, 4 დეკემბერი. 1896–1897 ხუთშაბათი, 4 დეკემბერი, № 390.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 დეკემბერს

ბენეფისი ვ. გამყრელიძისა

ქართულ დრამატიულ დასისაგან წარმოდგენილი იქნება

═ პირველად ახალი პიესა ═

მამა

დრამა 4 მოქმ. და 6 სურათად თხზ. ი. ლაზარიაშვილისა

მოქმედნი პირნი:

გიორგი ბერიძე, მოხუცი გლეხი	ბ. გამყრელიძე
თინია, ამისი ქალი	ქ. კარგარელი.
გეურქა, მდიდარი ვაჭარი	ბ. აბაშიძე.
ნინიკა, ახალგაზდა გლეხი	ბ. სვიმონიძე
სოსიკა, ახალგაზდა გლეხი	ბ. მჭედლიშვილი
მამასახლისი	ბ. ადამიძე
ელენე, შუახნის ქალი	ქ. ჩერქეზიშვილისა
ელისაბედ, გეურქას ცოლი	ქ. რჩეულოვისა
ვაჭარი	ბ. თამაზიშვილი
ნოქარი	ბ. კარბელი
ჩინოვნიკი	ბ. გვარამაძე
კინტო	ბ. საფაროვი
სასამართლოს თავმჯდომარე	ბ. კანდელაკი
პროკურორი	ბ. წერეთელი
ვექილი	ბ. შათირიშვილი

მხედრები, ტუსაღები და სხვანი-

დასასრულ

ახირებულია

ვოდევილი 1 მოქმ. თარგ. ნ. ყიფიანისა

მოქმედნი პირნი:

დიარმიდონტ ანტიპიჩ მარდაშოვ	ბ. აბაშიძე
სერგეი, ამისი ძმისწული	ბ. შათირიშვილი
ელენა პეტროვნა, ახალგაზდა ქვრივი	ქ. გამყრელიძისა
აკაკი აკაკიჩ აკაკიევი, უცნაური კაცი	ბ. გედევანოვი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი ქ. მესხი.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები

ნ. წერეთლისა

შინაარსი:

- I. რამ გამოიწვია დაარსება «მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა»?
- II. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის“ მოქმედება.
- III. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“ და ბ. ი-ბ ა—ძე
- IV. რა და რა ნაკლს პოულობს ი. ა—ძე „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის“ საქმეთა წარმოებაში.

ფასი 5 კაპ. (15—2)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.

❊❊❊❊ ფასი მასალებისა მეტად იაფია ❊❊❊❊

უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.

მსურველთ შეუძლიათ ქარხანასმიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.

ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*

ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.

Кодоры (Сухум. окр.)

Главный складъ въ Батумѣ. (300—260)

თავ. ილ. გრ. ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ამით აცხადებს, რომ კომიტეტი დღეის რიცხვიდამ ორი თვის განმავლობაში, ესე იგი პირველ თებერვლამდის მომავალის 1898 წლისა, მსურველთაგან მიიღებს თავისს თავმჯდომარის სახელობაზე სახელმძღვანელოდ ყოველ-გვარს მოსაზრებას საიუბილეო დღესასწაულის შესახებ.

ადრესი: ქრისტეფორე როსების ძე მამაცაშვილი, სათავად-აზნაურო ბანკში, ტფილისი. (10—1)

საჩუქრები და ფეშქაშები

საშობაოდ და საახალწლოდ

იყიდება

პანცერისა და გლუხოვსკის

საწყობში

მშვენიერი და მსუბუქი საკერავი მანქანები დიასახლისებისა და გასათხოვარ ქალებისათვის

ყიდვა შეიძლება შეღავათიანის პირობებით ◆

Подарокъ на Елку

Всѣмъ хозяйкамъ

(дешевизна)

Панцеръ и Глуховскій

СКЛАДЪ

ШВЕЙНЫХЪ МАШИНЪ

лучшихъ фирмъ

Тифлисъ, Дворцовая, д. Сараджева (во дворѣ)

მთავრობისაგან ნება დართული

პანსიონი და სასწავლებელი

მასწავლებელი ქალის

ნ. დიდებულიძის

ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხეულოვის სახ. № 146.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.

ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.

მიიღებს აგრეთვე სასწავლებლო გიმნ. მოწაფეებს საბინადროდ და საცხოვრებლად.

პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)

მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

Пансіонъ и училище

Учительницы

Н. ДИР[redacted]ВУЛИДЗЕ

Тифлисъ, М йловок. ул. № 146.

Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для ученицъ гимназіи. Обученіе музыкѣ

(150—42)

დაიბეჭდა და იყიდება

გრიგოლ განმანათლებლის მიერ ანგელოზის ხილვა და მისგან გამოკითხვა

შედგენილი და გამოცემული გასილ კ. ქორჩილავას მიერ

ვინც ამს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ბათომში, დაეთმობა 30%. (30—13)

კვირას, 14 ქრისტეშობისთვეს საღამოს 7 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩაზედ) დანიშნულია

საგანგებო კრება

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლისა“

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ მოწვევის ბარათები.

რადგან, წევრთა კანონიერის რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა 30 ნოემბრისათვის გამოცხადებული პირველი კრება, ამისათვის მოვაგონებთ წევრთ ამხანაგობისას, რომ თანახმად წესდების § 21 შენიშვნისა, კანონიერი იქმნება უსათუოდ ეს მეორე კრება „მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრობა მას წილის პატრონი“.

შეშის საწყობი: „კონკურენცია“

კონკურენცია

თ. ალექსანდრე მაჭუტაძის

შეშის საწყობში



ისყიდება ყოველ-გვარი ხე-ტყის შეშა რცხილა, წიფელა და სხ.

იაფობა ორ მანათზე უფრო ნაკლებად, ყველა შეშის მყიდველებზე

შეშის საწყობა სინიდისიერია

მოგვმართონ: ვოგზალთან, სადეზინფექციო სადგურის პირდაპირ (15—7)

შეშის საწყობი: „კონკურენცია“

პირველი კერძო სამკურნალო.

ექიმის ნავასარდიანისა.

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექიმი ქალი რუდნევა 10½—11½ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11½—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.

ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.

ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

საღამოობით

ა. მ. შუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანცი 6—6½ ს.

ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ხედაკანის ავად.

ტ. ი. რუდნევა—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. **თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. **გორრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.

Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი

*** **ვ. გამყრელიძის ბენეფისი.** დღეს ქართულს თეატრში დანიშნული ჩვენის ახალგაზდა ნიჭიერის სახიობის ვ. გამყრელიძის ბენეფისი წარმოდგენილი იქნება უდროვოდ განსვენებულის ი. ლაზარიაშვილის ხალი პიესა 5 მოქმ. დრამა «მამა» და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი ბარაქალა მასწავლებელო». წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ ყველა ჩვენი მსახიობნი.

რა თქმა უნდა, დღევანდელი წარმოდგენა მეტად საინტერესოა. ვ. გამყრელიძემ საკმაოდ დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება და სიყვარული, აგერ ათ წელიწადზე მეტია, რაც იგი ქართულ სცენაზე შრომობს ხან ტფილისში და ხან პროვინციებში და საფუძვლიანად ატარებს ქართულ სცენაზე კ. ყიფიანის ბადალის სახელს და მართლაც ვ. გამყრელიძე მოხუცებულთა როლებში, განსაკუთრებით ორიგინალ პიესებში შეუდარებელი რამ არის და ამ ხანად ბადალიც არა ჰყავს.

ხოლო პიესა განსვენებულის ი. ლაზარიაშვილისა («მტარვალი»-ს ავტორისა) ფრიად საგულისხმიეროა და მიტომ სრული იმედია, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ საინტერესო წარმოდგენას.

*** თავ. **ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომიტეტი**, როგორც მკითხველები დღევანდელს განცხადებაში წაიკითხავენ, უკვე შესდგომია საზოგადოების დადგენილების აღსრულებას და საყოველთაოდ აცხადებს, რომ იგი ღებულობს ყოველ-გვარს მოსაზრებას ყველა ქართველთაგან საიუბილეო დღესასწაულის შესახებ. მსურველნი მიჰმართავენ კომიტეტის თავმჯდომარეს ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში ყოველ დღე შუადღემდე.

*** **საინტერესო გუჯარი.** ჩვენს დაუღალავს ძველთა დროთა მკვლევარს მოსე ჯანაშვილს უპოვნია ფრიად საინტერესო გუჯარი შესახებ ბერძენთა მონასტრების შემოსავლის დანიშნულებისა საქართველოში. ვინ არ იცის, რომ ბერძენთა სასულიერო მმართველობას და სამღვდელოებას ძველ დროიდანვე საქართველოს ყველა კუთხეებში ჰქონდათ მიჩნეული საეკლესიო და სამონასტრო მამულები, რომელთა შემოსავალი ჰხმარდებოდა ხოლმე ქართველ ახალგაზდობის აღზრდას აქა თუ იერუსალიმში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ მამულების შემოსავალს როგორღაც გზა და კვალი დაებნია, ხოლო თვით შემოსავლის განაგება დაიჩემა ბერძნების სამღვდელოებამ. ხოლო როგორც ზემოდ ხსენებულ გუჯრიდან აღმოჩენილა, ამ მამულების გამგებლები ეგრედ წოდებული ჯვარის მამები ყოველთვის ინიშნებოდნენ თურმე ქართველ მეფეთა და კათალიკოსებისაგან და ეგ სავალდებულო იყო საბერძნეთის მთავრობისათვის. გუჯარი დაწერილია 1675 წ. მეფე შანავაზის დროს (იგივე ვახტანგ მე-V). ხსენებულის მამულების შემოსავალი დღეს რომ მართლა საქართველოს მოზარდ თაობას ხმარდებოდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, რადგან, როგორც ყველამ უწყის, ამ მამულებიდან ყოველ წლივ შემოსდის სულ უკანასკნელი 25—30 ათასი მანათი.

*** **სადებ-მიცემო ამხ. «შუამავალის» საგანგებო კრება** დანიშნულია 14 ქრისტეშობისთვეს. ეს მეორე კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. იმედია, ეხლა მაინც მოგროვდებიან საკმაოდ ამხანაგობის წევრნი.

*** **ბილეთები საქველ-მოქმედო ქართულ წარმოდგენისა**, რომელიც გაიმართება 8 დეკემბერს სახელმწიფო თეატრში, ისყიდება წარმოდგენის დღემდე სათავად-აზნაურო თეატრის კასსაში, ხოლო წარმოდგენის დღეს-კი თვით სახელმწიფო თეატრის კასსაში. დარჩენილია გასასყიდად მესამე იარუსის ლოჟები და სკამები.

*** **ტფილისის ოლქის სასამართლო.** მომავალის ახალის წლიდამ ტფილისის ოლქის სასამართლოში შესამჩნევად შეიცვლება საქმის წარმოების წეს-რიგი. განცალკევებით აღარ იქმნება სამიჯნო და სააპელაციო განყოფილებანი; ოლქის სასამართლო სულ გაიყოფა ოთხს ნაწილად—ორს მათგანში განიხილვენ სამოქალაქო საქმეებს (მათ შორის სამიჯნოსაც) და დანარჩენს ორში—სისხლის სამართლის საქმეებს.

*** **სამეურნეო განათლება რუსეთში.** სატახტო გაზეთებში სწერია, რომ სამეურნეო სამინისტროს საბჭო, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავებინა სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმე რუსეთში, შემდეგს აზრს დასდგომია: სამეურნეო ცოდნათა გასავრცელებლად საჭიროა გაიხსნას სამეურნეო სპეციალი სასწავლებლები და აგრეთვე სხვა სასწავლებლებშიაც შემოიღონ გაკვეთილები სამეურნეო მეცნიერებისაო. ერთი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი უნდა დაარსდეს სამხრეთ რუსეთშიო, თვითეულს გუბერნიაში დაარსდეს თითო სამეურნეო სკოლა და კერძო სკოლებსაც ხელი შეეწყოს და სხვა.

*** **ერობა ტფილისის გუბერნიაში.** თავად-აზნაურთაგან არჩეულმა კომისსიამ, რომელსაც დავალებული აქვს ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საქმე შეიმუშავოს, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან, აირჩია თავიანთ შორის მეორე კომისსია. ამ კომისსიის ორშაბათს, 1 დეკემბერს ჰქონდა სხდომა და დაადგინეს, რომ თუ ვინიცობაა ტფილისის გუბერნიაში შემოღებულ იქმნა ერობა, შემდეგი რიცხვი უნდა იქმნეს ხმოსნებისა მაზრებშიო: გორის მაზრაში—35 ხმოსანი, ტფილისის მაზრაში—30, ბორჩალოს მაზრაში—25, თელავისა და თიონეთის მაზრებში ერთად—25, სიღნაღისა და დუშეთისაში, თითოეულში—20, ახალქალაქისა და ახალციხისაში, თითოეულში—15; საგუბერნიო კრებისათვის საჭირო იქმნება 32 ხმოსანი, რომელნიც არჩეულ უნდა იქმნენ მაზრის ხმოსნების მიერ.

წოდებრივად, ახალის კანონდებულების ძალით უპირატესობა უნდა მიეცესთ ჯერ მემამულეებს (აზნაურთ), მერმე სოფლის საზოგადოებებს და მერმე დანარჩენებს—ბეგებს, აღალარებს, მოქალაქეებს და სხვ.

*** **ამიერ-კავკასიის გუბერნატორების ჩამოსვლა ტფილისში.** მომავალს კვირეში ტფილისს ჩამოვლენ ამიერ-კავკასიის გუბერნატორები და მათის მონაწილეობით მთავარ-მართებლის რჩევაში განიხილვენ, სხვათა შორის საკითხს შესახებ საფრების წეს-რიგის შეცვლისა და პოლიციის მოხელეთა რიცხვის მომატებისა და საზოგადოდ სამაზრო პოლიციის გაწეს-რიგებას.

*** **რკინის გზის სადგურებზე ტელეფონების გამართვის გამო.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას უმაღლესს მთავრობასთან წარდგენილი ჰქონდა პროექტი, რომ მომავალის 1898 წლიდამ გზის ყველა სადგურებზე გაიმართოს ტელეფონებიო, მაგრამ ეგ განძრახვა ვერ განუხორციელდათ, რადგან მთავრობამ ჯერ ადრეულად სცნო ტელეფონების გამართვა სადგურებზე.

*** **სათამაშო ქაღალდის საანგარიშო დავთრები.** ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ადგილობრივს პოლიცმეისტერსა და მაზრის უფროსებს დავთრები, რომელშიაც დაწვრილებით ანგარიში უნდა ჩაიწეროს ხოლმე, როგორც უხმარის, ისე ნახმარის ბანქოსი და უბრძანა მათ, რომ ეგ დავთრები დაურიგეთ «კლუბებსა» და ყველა იმ დაწესებულებებს, რომელნიც ვალდებულნი არიან, რომ ანგარიშით ხარჯონ ხოლმე სათამაშო ქაღალდი, ვინაიდგან ამაში «ღედოფლის მარიამის დაწესებულებათა» ინტერესებიაო.

*** **ქიზიყის მეთამბაქოეთა საყურადღებოდ.** საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ბიუროს დახმარებით ქიზიყის დეპოს გამგეობამ გაუგზავნა პეტერბურგის და მოსკოვის მეფაბრიკეებს თამბაქოს ნიმუშები. უეჭველია მაღლე ფასებს მოიწერებიან მეფაბრიკეები და ამისათვის ძალიან კარგი იქნება, რომ არ აუჩქარდნენ ქიზიყელები თამბაქოს გასყიდვას იმ ადგილობრივ ვაჭრებზედ, რომელნიც ჩვეულნი არიან ოქრო ვერცხლის ფასად იყიდონ და ვერხლი თუჯის ფასად ქიზიყის დეპოს გამგეობა თავ-გამოდებით ცდილობს და საქმე წარმოებს კიდეც, რომ საზოგადო მატყლის თამბაქოს და სულადის საწყობი დაარსდეს, რათა მწარმოებელმა და მომხმარებელმა პირდაპირ იქონიონ ერთმანეთთან საქმე და ამ გზით დაეხწიოს ხალხი იმ წურბელა ჩარჩ ვაჭრებს, რომელნიც კახელ-ქიზიყელ მეურნეთა მილიონების ნაწარმოებს ბზის ფასად გაეზიდებიან ათას გვარის ხრიკებით და მოტყუებით.

ანი

*** **ბოგაში** (სამეგრელო). სიმინდის ფასმა არ იქმნა არ აიწია. ძლივ-ძლივობით 30—35 კაპ. იყიდება ფუთი. ხალხს ბევრი საჭიროება აქვს ამ წლის დასასრულში, სხვა-და-სხვა საზოგადო თუ სახელმწიფო ხარჯის გადახდით და იძულებულნი არიან ასე იაფად გაყიდონ სიმინდი.

—ქურდ-ბაცაცობა. სიმინდი და ყანები გატყდა და საქონელიც გამორეკეს საბალახოთ და გაჩნდნენ კიდეც ღამის რაინდები; ძვირად იპოვით ისეთ სოფელს, რომელიც ღამის რაინდებიდან ხელ-უხლებელნი დარჩენილიყოს. აი დღესაც ჩვენს წისქვილში მეწისქვილეს ბავშვები მოერეკებოდნენ ხარ-ურემს, დახვდნენ ქურდები და გაძარცვა უნდოდათ, მაგრამ ამ დროს შორით დაინახეს, თურმე, რამოდენიმე ცხენოსანი კაცი და ამ გარემოებამ გადაარჩინა ბალღები გაძარცვას. საჭიროა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს და განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც ამ ვაჟბატონების გასაყოლი გზებია, ღამის დარაჯებს დააყენებდეს. თუმცა ამას წინად ამ ნაირი განკარგულება ვითომდა მოხდა, მაგრამ ხანგრძლივი ასრულება არ გაყოლია. თურმე, უფრო მკაცრი ბრძანება ყოფილა საჭირო.

მეწისქვილე

*** **ს. ფარცხმა** (გურია). სკოლის შენობის გამო. სოფელი ფარცხმა თითქმის ოზურგეთის მაზრაში, როგორც კომლთა რაოდენობით, აგრეთვე ნივთიერის შეძლებით სხვაზედ უღარიბესია, მაგრამ მდებარეობით სხვაზე წინა სდგას; ზედ დაბა ჩოხატაურზე, სადაც მომრიგებელი სასამართლო, საბოქაულო სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფის სადგური, საავადმყოფო, სააქციზო სამმართველო, აფთიექი და სხვა... ფარცხმაში ერთ-კლასიანი სასწავლებელია და ერთად-ერთი სამრევლო სკოლა. ეხლა ფარცხმელებმა განიზრახეს დაარსონ ორ-კლასიანი სასწავლებელი და ამ აზრს თანაუგრძნობენ, როგორც დაბა ჩოხატაურის მოვაჭრენი, აგრეთვე ზემო აღნიშნული დაწესებულებათა მოხელენი და იმედია, აღმოუჩენენ ჯეროვანს შემწეობას და ამით ხელს მოუწყობენ და გააბედვინებენ ფარცხმელებს ორ-კლასიანი სკოლის დაარსებას, რაიცა ფრიად საჭირო და სასარგებლოა.

ჩ. ხ—დრავა

*** **დ. ლანჩხუთი** (გურია). სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამ ხანად ეს მეორე მოსახლეა ცეცხლის გაუფრთხილებლობით, რომ გადაიტრუსა. 25 ნოემბერს, აზ. მ. ჟორდანიას სახლს გაუჩნდა ცეცხლი და მთლად გადაიბუგა, შიგ სადგომში არაფერი გადარჩენილა დაუწვავი, ორი სული საქონელიც-კი დაიწვა. 30 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ვ. ა. ხელაძეების სახლს გაუჩნდა ცეცხლი, მშველელი ბლომად შეგროვდა, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ეხლა, როგორც ამბობენ, აქაურ ინტელიგენციას განზრახვა აქვს შემწეობა აღმოუჩინოს დაზარალებულებთ, ღმერთმა ქნას, რომ ეს კათილი განზრახვა აუსრულონ.

ნ. მწვანე-ყვავილელი

*** **სოფ. მცხეთა.** (ქართლი) ცეცხლის გაჩენა და სამწუხარო მოგონება. 30 ნოემბერს, საღამოს ათ საათზე მცხეთის ტაძრის ზარე ფეხზე წამოაყენა მთელი სოფელ ყველანი გაფაციცებით ჰკითხულ ბდნენ რა ამბავიაო? მალე, ყვირ ლიც მოისმა, გვიშველეთ ვიწვით ყველანი იქითკენ გარბოდნენ, სა დამაც ყვირილი მოისმოდა... მ და ჩემთან ერთად სხვა ქალებ გავყევით სხვის კვალს. მივედით ც ცხლის შორი-ახლოს და გვითხრ ივალიაშვილის თივა იწვისო. საბრ ლო ივალიაშვილს (მეჯაგვეა) წინ დღით უყიდნია ერთი ვეებერთელ ძნა 100 მანათად საჯაგვე ცხენებ გამოსაკვებად და დახეთ მისს უბ დობას, ჯერ ხელიც არ ეხლო ვიდაც ბოროტ მოქმედებმა კი ც ცხლი წაუკიდეს მტრობით (ამას ამ ბობს სოფელი და თვით ავალიშვ ლიც [illegible] ჰფიქრობს). ყოველ კაცი გულ-ხელ დაკრეფილი უყუ რებდა კმ გლეხის უბედურებას, თი თქო მათი ზნეობრივი მოვალეობა ა იყო დახმარებოდნენ. ქალების წ ვილ-კივილი არე-მარეს აყრუებდა, მა გრამ ვინ უგდებდა ყურს. შველ კი ადვილი იყო, რომ იმ თავით მადლიანი ვინმე აღმოჩენილიყ «ცის წვერის სიმაღლეო», რომ ი ყვიან, სწორედ იმოდენა ალი ჰქ ნდა ცეცხლს. საღამოს ათი საათიდ მეორე დილის 5 საათამდე, მერ კი თანდა-თან იკლო და ბოლო სრულებით ჩაქრა. სამწუხარო მო ლენაა, რომ ჩვენს სოფლელს ეს თი გულ-ციობა ეტყობა ხან და ხან მეზობლის გაჭირებაში. დახმარებ ჭირშია საჭირო და სიმამაცეც არის საქებარი, თორემ ლხინსა დ ქელეხში ყოველი კაცი გაიმარჯვებს თუ ბევრი ჭამა და სმა შეუძლიან!

გურულ-ქართლელი

გაჭრილი მეცნიერება.—როგო მოახერხეთ, ჰკითხა მოსამართლ ერთს ვაჭარს, რომ საქონელი ერთ თან დაგიგირავებიათ და მეორესთვი მიგიყიდნიათო!

—ეგ ვაჭრული მეცნიერება გა ლავთ, ბატონო მოსამართლევ, უპა სუხა წარბ-შეუხრელად ვაჭარმა.

ვალის ხსოვნა. ერთს ვითომ-დ გულ-მავიწყს მოვალეს ეუბნებოდ ზრდილობიანად ვაჭარი: ალბად თქვე დაგავიწყდათ, ჩემო ბატონო, რო თქვენ გმართებთ ჩემი ვალიო.

—აბა რა ბრძანებაა, მე თქვენგა ისე დავალებული ვარ არასოდეს ა დამავიწყდებაო, ცბიერად მიუგ მევალემ.

შემოწირულება

სტუდენტების სასარგებლოდ

ჩვენ მივიღეთ ოდესის სტუდენტ ბის სასარგებლოდ:

ვასილ ქორჩილავასაგან .	1 მ.
ალექსი რაპავასაგან . .	1 მ.
ივლიანე კოკაიასაგან . .	1 მ.
მარიამ წინამძღვრიშვილისაგან	1
წინანდელი იყო (ცნ. ფ. № 387)	12 მ. 70
ასე, რომ ოდესის სტუდენტების თანხა არის .	16 მ. 70
ხოლო პეტერბ. სტუდ. .	6 „ 85
საერთოდ-კი არის	23 54

რედაქცია ღებულობს ყოველ გვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტები სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლი ანთ შემოწირულება ფოსტის მარკ

ბითაც გამოგზავნონ. შემომწირველთა სია ყოველთვის დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული.

ვალერ. გუნია.

რუსულ-ქართულ ლექსიკონის შესახებ.

(პასუხად „ფერეიდნელ ქართველს“) *)

> ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვა?
>
> ქართული ანდაზა.

Разный ქართულად სხვა-და-სხვა აზრით იხმარება, მაგრამ მარტო «სხვა და-სხვა» ყოველთვის არ მიუდგება. იქმნება ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ადგილისათვის ვიყაირათე და „ტოლმეტის“ გვერდით „სხვა-და-სხვაც“ არ დავსწერე. ახლა მოგახსენოთ, როგორ და რა აზრით იხმარება ქართულად რუსული разный ანუ неравный. როცა ჰსურსთ აღნიშნონ რომელისამე საგნის ფერი, თვისება ან ღირსება, მაშინ იტყვიან: «სხვა და სხვა არისო». მაგალ. „ღვინოები სხვა და სხვა ფერისა, გინა გემოსაო». ხოლო როცა ჰსურსთ ორის ნივთის სიგრძე, ან სიმაღლე დაადარონ ერთმანერთს და ერთი მეტი და მეორე ნაკლებია, იტყვიან, «ტოლმეტიაო» და სხ. რუსულად ორსავე დასართავ სახელს ხსნის სიტყვა разный.

ქუდს „ფ. ქართველი“ თუ დაუმახებს თავთათმანს. ამის დამწერმა იცის და თავისს ლექსიკონშიაც შეიტანა, რომ თათმანი იქმნება ფეხისა და ჰქვიან ფეხთათამანი, გინა წინდა—носки, და ხელისა ანუ ხელთათმანი—перчатки. მჯერა, რომ „ფ. ქ.-ლს“ არ გაეგონოს სიტყვა «ფეხთათმანი», მაგრამ მთელი სამეგრელო-კი ამ სიტყვას ეძახის რუსულ носки-ს.

თუ კადნიერება არ არის, მა რა არის, კაცმა არ იცის, რომ говоръ ქართულად—კილოკავია! ჩემის გამტყუნებისათვის, ნახეთ ეს სიტყვა ყველა სალინგვისტიკო წერილებში, რაც-კი ქართულს ენაზე დაბეჭდილა. ყველას, ცოტაოდნად ნასწავლს, და განსაკუთრებით ლექსიკონის კრიტიკოსს, მოეთხოვება იცოდეს, რომ ბერძნული діалектъ (დია—სხვა ნაირად, განსხვავებულად და ლეგო—ლაპარაკი) და რუსული говоръ ორივე ერთია. ხოლო თუ говоръ კილოკავს ნიშნავს ქართულად, діалектъ-ი ხომ იმასვე უნდა ნიშნავდეს!

თქვე დალოცვილო, წიგნიდანაც როხეირიანად ვერა სწერთ სიტყვასა! აბა ეს რასა ჰგავს, თინათინი საბასა და ჩუბინაშვილს უწერიათო, თქვენც აგილით და отраженіе-დ გაგისაღებიათ ეს სიტყვა. საცა ეს წაიკითხეთ და საიდანაც ამოსწერეთ, ბარემ ისიც ამოგეწერათ, თითანითინს რა განმარტება აქვს. რა-კი თქვენ არ გინებებიათ, მეტი რა გზაა, უნდა მე დავკარგო დრო. „თინათინი“ საბასაც და ჩუბინაშვილსაც ასე აქვსთ განმარტებული: «მზის შუქი, დაცემული სარკეზედ და გარდაცემული კედელზედ ანუ отраженіе солнечныхъ лучей отъ зеркала. ხოლო отраженіе ანუ ლათინური reflexio მარტო„ მზის შუქის დაცემას სარკეზედ და გარდაცემას კედელზედ“ არა ნიშნავს. отраженіе იქმნება სამთლის და ცეცხლის სინათლისაც, ფერისა და სხ. როცა ერთის მჭვირვალის საგნის შუქი მეორეს გადაეცემა, მაშინ იტყვიან აღმოჩვივსო.

Диссекція მე ასე მაქვს ახსნილი—შლა (მცხედრისა). ამ სიტყვას მიწუნებს ბ-ნი „ფ. ქართველი.“ ეტყობა, ეს სიტყვა სრულებით არ ესმის ბ-ნს „ფ. ქართველს“, თორემ, გულითაც რო სდომებოდა, ვერ იხმარდა „შლის“ მაგიერ ხრწნას. Диссекція ანატომიური ტერმინი გახლავსთ და ნიშნავს ნაწილ-ნაწილ, ასო-ასო დაშლას მცხედრისას გინა მძოვრისას განგებ, ადამიანის ხელით. სწარმოებს ლათინურ სიტყვიდან dissecare (dis—ცალკ-ცალკე, ნაწილ-ნაწილად, ასო-ასოდ და secare—ჭრა). ხოლო „ფ. ქართველის“ მიერ ნახმარი ხრწნა სრულებით არ მიუდგება диссекція-ს. ხრწნა ნიშნავს დაშლას ადამიანის სხეულის ელემენტებისას ბუნებისა და დროის ზედგავლენით და ამას ეძახიან რუსულად разрушеніе, разложеніе. მაგალითად трупъ разложился—უნდა ითქვას—მცხედარი გაიხრწნა. Докторъ поѣхалъ на вскрытіе (რომელიც იგივე диссекція არის) трупа უნდა ითარგმნოს ასე: ექიმი მცხედრის დასაშლელად ან გასაჭრელად წავიდა. «ფ. ქართველს» რო უფრო ვუგდოთ, ასე უნდა ვსთქვათ: „ექიმი მცხედრის გასახრწნელად წავიდა“!.. სადამდის მიიყვანს ადამიანს უმეცრება და კადნიერება!

Блокъ-ს სამეგრელოში ღირღიტს ეძახიან. თუ მაინც-და მაინც «ფ. ქართველი“ არ დაიშლის და იტყვის ჩუბინაშვილისებურად ვიხმაროთო, მაშინ «ჭოჭონაქი» კი არ უნდა დავსწეროთ Блокъ-ის მაგიერ, არამედ ჭოლონაკი. მგონი, დიდი განსხვავება გახლავსთ, ბ-ნო „ფ. ქ—ლო, ჭოჭონაქსა და ჭოლანაკს შუა? საწყალი ჩუბინაშვილი თქვენს ხელში! ვინ იცის, რა ცილს არა სწამებთ, და იმას-კი ხმის გაცემაც არ შეუძლია!..

Блюдо-ს სახელი ჩუბინაშვილს მკაფიოდ და გარკვევით აქვს: პინაკი, ლაკანი, ე. ი. როგორც მე. ხოლო საბას ცილს ნუ სწამებთ, ნუ ამბობთ, საბას «ლანგარი» კალათის მაგიერ არსად არა აქვს ნახმარი. ის მკაფიოდ სწერს: „ეს (ლანგარი) არს ჭურჭელი ტაბლათა: თებში, ფეშხუმი, ბადიეში, ტაშტი, ლაკანი, ფიალი და მისთანანი». როგორც ხედავთ, ლანგარი საზოგადო სახელია ჯამ-ჭურჭელთა, რუსულად посуда. ამ საზოგადო სახელში ურევია სახელი ლაკანი, რომელსაც блюдо ჰქვიან, ხოლო ლანგარი ხინურის ჭურჭლის დიდი თებში კი არ გახლავსთ, როგორც რიხით ბრძანებს ბ-ნი „ფ. ქარ»., არამედ სპილენძის ჭურჭელია, დიდი და მრგვალი. ამ ჭურჭელს მთაში ხმარობენ. ზედ აწყობენ ხორცს, ლავაშებს და მისთანათა სუფრაზე მისართმევლად. რუსულად ამას უნდა დავუძახოთ подносъ. ამავე სახელს უწოდებს რუსულად ლანგარს ბ-ნი ჩუბინაშვილი. Блюдо კი დიდს თეფშსა ნიშნავს და შეიძლება არა მარტო ხინურს ჭურჭელს დავარქვათ, არამედ მცხეთის თიხიდანაც გაკეთებულს ეგევე სახელი დარქმის, თუ-კი ფორმა блюдо-სი ექმნება.

Подзорная труба მე ორის სიტყვით მაქვს ახსნილი: «შორსათვალე» და ჭოგრი. ამოუწერია ბ-ნს ფ. ქ.-ლს ჩემის ლექსიკონიდან подзорная труба და მოუწერია მარტო შორსათვალე (და ისიც შეცდომით: მე ამ სიტყვაში ერთი ს მაქვს და იმას-კი მეორე ს-იც ჩაუკვეხებია შიგ—შორსსათვალე); «ფ. ქარ.» ნაწერის წამკითხველი ისე გაიგებს, ვითომც მარტო შორსათვალე მქონდეს ნახმარი. ნამდვილად-კი მეორე ახსნაც მაქვს მიწერილი: ჭოგრი. აბა ამასა ჰქვიან მოპირდაპირესთან პატიოსნური კამათი! ამაებს თავი დავანებოთ და განვიხილოთ სიტყვა „შორსათვალე“ ჭოგრი ხომ იცოდნენ და იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, მაგრამ შორსათვალესაც ხცნობდნენ, რომელიც წარმოსდგება ბერძნული სიტყვა ტელესკოპი-დან (tele—შორს და scopeo—ვჩინჯავ, ვჭვრეტ). ჩვენის ხალხისაგან გაუგონიათ და თავისს ლექსიკონებშიაც შეუტანიათ ჯერ საბა ორბელიანსა და მერე ჩუბინაშვილსა სიტყვა შორსათვალე. მეცა მაქვს ეგ სიტყვა ნახმარი. ახლა როგორა გგონიათ, ჯვარსაცმელი ვინ არის: მე, რომელმაც სხვისგან გავიგონე ეგ გონივრულად ნახმარი სიტყვა და ლექსიკონში შევიტანე, თუ «ფ. ქართველი», რომელიც გაიძახის, ეგ სიტყვა ქართული არ არისო?

სიტყვა „საკეთე“ თუ თქვენ არ გაგიგონიათ, საბას ლექსიკონში მაინც ჩაიხედავდით. აი როგორა ხსნის ამ სიტყვას ს. ორბელიანი: „ეს (ე. ი. საკეთე) არის თვალის ქუთუთოს დასასრული, ცრემლთა ადგილი,“ ე. ი. რუსულად რომ ვსთქვათ уголъ глазницы. ძალიან ვსწუხვარ, რომ ესეთი უბრალო სიტყვა აღარც ქართულად გცოდნიათ და აღარც რუსულად. ჯერ გაიგეთ, თვით ისწავლეთ და მერე სხვას ასწავლეთ; ყველა რიგიანი კაცი ასე შვრება ხოლმე.

თ. სახოკია

(გაგრძელდება)

---

*) იხ. „ც. ფ.“ № № 388 და 389.

სამეცნიერო ცნობა

—

⁂ ცის მნათობი მერკური. მერკური მზის მახლობლად იმყოფება დაახლოვებით 56 მილ. ვერსის სიშორეზე. სიდიდით მერკური 18 ჯერ ნაკლებია დედამიწაზე. მისი ნიადაგი უსწორო, ოღრო-ჩოღრო და მთებით სავსე. ეს მნათობი სითბოს და სინათლეს ყველა მნათობებზე ბევრს იღებს მზისაგან. იგი უვლის მზეს 88 დღეს; ამნაირად, მისი წელიწადი ჩვენებურ სამ თვეზე კიდევ ნაკლებია. ბრუნვის დროს ხან ძრიელ უახლოვდება მზეს და ხან შორდება, ასე რომ მზე იქიდგან (მერკურიდგან) ხან ათჯერ მეტი სჩანს ჩვენებურზე (მზეზე) ხან ოთხჯერ. ეს ბურთი (მერკური) 15 ჯერ ნაკლებს იწონს დედამიწისაზე. აქედგან შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ იქაურის ნივთების სისქე ერთის მეექვსედით მეტია აქაურზე; მერკურის ნივთები უფრო სუბუქები არიან ჩვენებურზე და ნაკლებს იწონიან, ისე, რომ ჩვენებური გირვანქა იქ მხოლოდ 42 მისხალს აიწონიდა. რაც შეეხება ცხოვრების პირობებს, ესენი სრულებით არა ჰგვანან ჩვენებურებს. იქ თუმცა ატმოსფერა ღრუბლიანია, მაინც ძრიელა ცხელა. ამ მნათობის სიპატარავის და გვარად მისი სახელმწიფოც ძრიელ დიდი არ უნდა იყვეს. ნივთები, რომლებისაგანაც იგი შესდგება, საგნები და ცოცხალი არსებანი უფრო სქელებია და ორჯერ სუბუქები, ვიდრე ჩვენში. ყველა ამითი მერკური განირჩევა დედამიწისაგან. მაგრამ უფრო იმითი განირჩევა დედამიწისაგან, რომ ბრუნვის დროს იგი მზეს ერთსა და იმავე გვერდს აქცევს, ამის გამო, ერთი ნახევარი ამ ბურთისა ყოველთვის განათლებულია და მეორე კი დაბნელებული. ეს თვისება მერკურისა მხოლოდ 1889 წ. აღმოაჩინა იტალიელმა მსწავლულმა (მეცნიერმა) სკიაპარელიმ. დაუსრულებელი დღე ერთს მხარეზე და მეორე დაუსრულებელი დღე ერთს მხარეზე და მეორე დაუსრულებელი სიბნელე (ღამე) აი გასაოცარი ქვეყანა. სადაც არ არის არც დღე, და არც ღამე, არც საათები, თვეები, წელიწადები, კალენდარი! წარმოდგენა აქვთ იქ დროზე ბერდებიან, იხოცებიან თუ არა? სხვა და სხვა გვარობა ქვეყნიერებისა დაუსრულებელია!...

გაბო.

სამკურნალო დარიგება

—

შეიძლება თუ არა ავადმყოფთან ყვავილების შეტანა? ლონდონის წმ. ბართლომეს საავადმყოფოს ერთმა ექიმმა მიმართა სხვა ექიმებს დარიგებით, რომელშიაც ურჩევს ექიმებს სასტიკი ყურადღება იქონიონ იმაზე, თუ რანაირი ყვავილები შააქვთ ხოლმე ავათმყოფთან მსახურებს, ნათესავებს თუ მნახველებს. ადვილად შეუძლიანთ ცუდი გავლენა იქონიონ ავათმყოფებზე. ყველაზე უწინ საჭიროა აკრძალოთ ავათმყოფთან მოწყვეტილი ყვავილების შეტანა. თუმცა მოწყვეტილი ყვავილები თავისად მავნებელნი არ არიან,—მაინც შეიძლება წყალმა, რომელშიაც მათ აწყობენ ხოლმე, ავადმყოფობა გაავრცელოს. ამ გვარი ყვავილები ოთახში ერთი დღის მეტი არ უნდა დასტოვონ. ძრიელ სურნელოვანი ყვავილები ავადმყოფებისათვის მავნებელია, ამიტომ მდარე სუნიანი ყვავილები უფრო მარგებელია. მეორე მხრივ სრულებით არ შეიძლება ყვავილების აღკრძალვა ავათმყოფისთვის. რადგანაც ყვავილების კონა კარგა მოქმედობს ავადმყოფზე. ამიტომ ძრიელ კარგია იის ან გვირილის კონა შეიტანოთ ოთახში.

საოჯახო ცნობანი

—

კასრების გასუფთავება. კასრებისა და საზოგადოდ ხის ჭურჭლის გასასუფთავებლად უნდა ჩაასხათ ჭურჭელში წყალი, ცოტა ქატო ჩაჰყაროთ, ხურითთ და დასდგათ, სანამ ქატომ დუღილი არ დაიწყოს, მერმე კი გადმოსცალეთ ჭურჭელი და ისევ წმინდა წყლით გამორეცხეთ. ჭურჭელი სრულებით გაიწმინდება ყოველივე ლაქასა და სუნისაგან.

ღრუბლის გასუფთავება. ერთი ლიმონი უნდა გაჭრათ შუაზე, ნახევარი დააწუროთ ღრუბელს და მეორე ნახევარი ნაჭრებად დააფინოთ ღრუბელსავე, მერმე ზედ გადაასხამთ ადუღებულს წყალსა და შეინახავთ ეგრე ერთს დღეს. ბოლოს კარგად ამორეცხთ ცივს წყალში და ღრუბელს ყოველივე ლაქა მოსცილდება.

წვრილი ამბავი

—

ვინ უფრო მალე სთხოვდება? ერთს მოცლილს ადამიანს ბეჯითად უძებნებია თვალ-ყური და გამოუკვლევია, რომ დიდს ქალაქებში ყველაზედ უფრო მალე სთხოვდებიან არისტი-ქალები, მომღერლები და მოცეკვარნი. ამათ შემდეგ, მეორე ადგილი უჭირავთ მზარეულებს, ხელზე-მოსამსახურე ქალებს და გამდელებს; შემდეგ, სთხოვდებიან მწერალნი ქალნიც და მათ, უმეტესს შემთხვევაში, თხოულობენ ლიტერატორნი, რედაქტორნი და გამომცემელნი. ქარხნის მუშა ქალებიც იშვიათად ბერდებიან გაუთხოვრად. ავადმყოფების მომვლელნი ხშირად საუცხოვო საქმროებს ჰპოულობენ ხოლმე. მკერავ ქალებსაც ხშირად გაუღიმებს ბედი; ხოლო ყველაზედ უფრო არა სანატრელს მდგომარეობაში მასწავლებელი და აღმზრდელნი ქალნი არიან—ისინი მუდამ ბავშვებში ტრიალებენ და იშვიათად შეხვდებიან ხოლმე საქმროებსო.

განცხადებანი

ბილეთები საქველ-მოქმედო ქართულ წარმოდგენისა, რომელიც გაიმართება 8 დეკემბერს სახელმწიფო თეატრში, ისყიდება წარმოდგენის დღემდე სათავად-აზნაურო თეატრის კასსაში, ხოლო წარმოდგენის დღეს-კი თვით სახელმწიფო თეატრის კასსაში. დარჩენილია გასასყიდად მესამე იარუსის ლოჟები და სკამები. (3—1)

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
(ისყიდება სიკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნძულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოხეუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით (თითო) . .	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერის ყდით . .	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-შოემა ბაჩანასი	„—15
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„—30
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) . . .	„—40
იგივე მშვენიერი ყდით . .	„—90
თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I	1—20
იგივე ტომი II	1—
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი III	1—„
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—60
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—„
ჩანგი	1—„
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	„—20
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
იგივე ტომი II	1—„
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	2—50
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის.	„—25
სიბრძნე-სიცრუვე, მისავე .	„—75
იგივე კარგს ქაღალდზე . .	1—50
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . . .	1—50
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . .	1—„
იგავ არაკნი, მისივე . . .	„—20
ღვინის დაყენება, [illegible] გ. პეტრიაშვილისა . . .	2—50

ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-მე ჯორბენადისა . . . . . „—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, გ. ზოტოტსი . . . . . . „—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . „—40
აივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა . . . . 1— „
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . . 1—60
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . . „—25
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით . , . . „—30
სიბრძნე ბალავარისა . . . „—30

(100—7)

სარძეო
„ლისი“
სასახლის ქუჩა,
თავად-აზნაურთა ქარვასლა
№ 117
118

მსურველთ ყოველ-დღე შეუძლიანთ იშოვნონ: რძე, მაწონი, ნაღები, კარაქი, ყველი, ნაზუქი, ჩაი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, კრემი, ჟელე, მურაბები, მაროჟნი და სხვა ტკბილეულობა.

ხაჭაპურები, ნაზუქები და ფუნთუშები კარაქით, ყველით, კვერცხით და სხვა-და-სხვა საუზმე.

ფასი ყოველივეზე მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი.

ვაჭრობა დილიდან საღამომდე.

Молочная „Лиси“

Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства №№ 117 и 118.

Содержательница А. Гавріилова

(16—9)

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლულის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1894 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა **50** კაპ., ½ ნაჭერი **30** კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, წურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.

(24—6)

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
თ. სახოკიას შედგენილი
რუსულ-ქართული

ლექსიკონი

ფასი 20 კ.

Подписка на 1898 г: открыта на еженедѣльн. иллюстриров. литературн. журналъ и газету, ежемѣсячныя книги, ежемѣсячн. журналъ парижскихъ модъ со многими белплатными приложеніями и преміями

20-й годъ изданія **„РОДИНА“** 20-й годъ изданія

Въ 1898 г. Редакція даетъ своимъ подписчик. за **четыре** руб. (съ упаков. и пересылкой—6 руб.) нѣсколько изданій со мног. **безплатными** приложен. **безъ всякой приплаты** за упаковку и пересылку главныхъ приложеній, а именно:

52 №№ еженедѣльной газеты, убористой печати, въ которой будетъ помѣщаться все, что можетъ интересовать читателя въ области правительственныхъ распоряженій, внѣшней и внутренней политики, новостей дня, науки, литературы, искусства, а также **еженедѣльный фельетонъ** (факты и курьезы изъ столичной и провинціальной жизни), стихотворенія, сценки и проч.

52 №№ еженедѣльнаго **журнала**, четкаго убористаго шрифта,—**съ иллюстраціями**, на глазированной бумагѣ,—содержащаго въ себѣ русскіе оригинальные (не переводные) романы, повѣсти, очерки, этюды и разсказы, преимущественно изъ исторической и современной русской жизни, стихотворенія и пр. При **иллюстрированномъ журналѣ** также будетъ выходить отдѣлъ подъ названіемъ

Развлеченіе въ часы отдыха,

въ которомъ будутъ помѣщаться сцены въ прозѣ и стихахъ съ иллюстраціями, а также задачи, физическіе опыты, шарады, семейныя игры: шахматы, шашки, домино и проч.—Этотъ отдѣлъ является совершенно отдѣльнымъ журналомъ.

12 ежемѣсячныхъ книгъ—каждая книга объемомъ въ 200—400 стр. въ 8-ю долю листа—въ котор. будутъ помѣщены романы, повѣсти, разсказы и стихотв. извѣстнѣйшихъ русск. писателей, общеполезныя свѣдѣнія по дому и хозяйству, **гигіенѣ, народному здравію**, новѣйшія открытія и изобрѣтенія, библіографич. замѣтки и смѣсь.—Въ числѣ этихъ книгъ гг. подписчики получатъ:

1) **большой иллюстрированный томъ. «Библейскіе мотивы»**

НОВЫЙ ЗАВѢТЪ.

Около **30 большихъ**, на библейскія темы, рисунковъ художника **Г. Доре** со стихотвореніями къ кажд. рисунку извѣстнѣйш. русск. поэтовъ: **Апухтина А., Бенедиктова В., Глинки Ѳ., Жемчужникова В., Жуковскаго В., Крестовскаго В., Льдова К. Н., Майкова А. Н., Мея Л., Мережковскаго Д. С., Надсона С. Я., Полонскаго Я. П., гр. Толстаго А., Фета А., Ясинскаго І., Чюминой О. Н.** и мног. друг.

и 2) **большой томъ: полный русскій иллюстрированный**

СЛОВАРЬ-ТРАВНИКЪ И ЦВѢТНИКЪ.

Необходимая **настольная книга** для каждой **провинціальной** семи, сельскихъ хозяевъ, лѣсоводовъ, антекарей и проч., заключающая въ себѣ подробное описаніе всѣхъ **цѣлебныхъ**, полезныхъ и вредныхъ для человѣка и животныхъ растеній, корней и цвѣтовъ, съ указаніемъ **врачебнаго** дѣйствія ихъ на организмъ человѣка и животныхъ, а также способовъ приготовленія изъ нихъ весьма полезныхъ и вполнѣ безвредныхъ **домашнихъ лечебныхъ** средствъ ипр.

Съ художественно исполненными съ натуры **раскрашенными** рисунками растеній, корней и цвѣтовъ.

Для участія въ „Родинѣ“ приглашены извѣстнѣйшія крупныя силы русской литературы и уже пріобретены слѣдующія оригинальныя (не переводныя).

НОВЫЯ СОЧИНЕНІЯ:

Графа Е. А. Саліаса—«Рубиконъ», большая повѣсть. Вас. Ив. Немировича-Данченко—«Дѣла давно минувшихъ дней», историческій романъ. Князя М. Н. Волконскаго—«какъ я написалъ разсказъ», разсказъ. І. І. Ясинскаго—«душный городъ», романъ. И. Н. Потапенко—«роковая ошибка», романъ. В. Я. Свѣтлова—«за счастьемъ», романъ. П. Н. Полевого—«въ тискахъ», быль. А. А. Соколова—«море житейское», романъ. М. И. Пыляева—«историческіе русскіе шуты», очеркъ. О. Н. Чюминой—«преддверіе славы», романъ. Е. О. Дубровиной—«въ царствѣ горя и золота», романъ. А. И. Лемана—«богатая невѣста», романъ. Н. Н. Алексѣева—«розы и терніи», историческій романъ. Н. Э. Гейнце—«по закону Моисееву», романъ. А. Е. Зарина—«люторка-еретичка», историч. романъ. А. И. Лаврова—«месть призрака», романъ. А. И. Красницкаго—«гроза Византіи», историч. романъ.

Въ редакціи имѣются также разсказы, повѣсти, стихотворенія, этюды, очерки, драмы, комедіи и водевили многихъ друг. извѣстныхъ русск. писателей.

Кромѣ того, въ теченіе года каждый подписчикъ цолучитъ:

12 № «Сельскаго Хоз. и Домоводства», а также садовод. и ухода за комнатн. растеніями. **12 №** «Для дѣтей»: повѣсти, разсказы и стихотворенія съ рисунк. **12 №** Модъ и рукодѣлій: около 500 рисунк. съ описаніемъ къ нимъ, которые замѣняютъ спеціальный модн. журналъ необходимый въ каждой русск. семьѣ. **12 №** Модныхъ выкроекъ въ натуральную велич., въ которыхъ въ теченіе года будетъ помѣщено до 900 чертежей выкроекъ въ натуральную велич. **12 №** Листовъ рисунковъ для выпиловки рамокъ, этажекъ, подчасниковъ и проч. ажурн. работъ. **12 №** Листовъ узоровъ для тамбурныхъ, канвовыхъ и др. работъ, отпечатанныхъ въ нѣсколько красокъ и составляющихъ въ концѣ года изящн. «Альбомъ». **12 №** нотъ а) для пѣнія (съ текстомъ) и б) для инструм. (фортепіано, скрипки, гитары и пр.). **12 №** выпусковъ драматич. сочиненій, подъ назван.: «Домашній театръ». **12 №** «Всемирнаго путешествен.»: разсказы, повѣсти и приключ. изъ путешествій.

Сверхъ всего, редакція „Родины“ дастъ своимъ подписчикамъ

БЕЗПЛАТНО:

1) Стѣнной табель-календарь на 1898 г., изящно отпечатанный разными красками и золотомъ. 2) Календарь-собесѣдникъ на 1898 г.,—книжка больш. формата, въ 2-хъ частяхъ. Часть первая—Справочн. отдѣлъ: календари православный, еврейскій, магомет.; именословъ; вел. праздники; церк. служба и проч. Часть 2-я—литерат. отдѣлъ, содержащій въ себѣ неболыш., легкія для чтенія, произведенія лучшихъ современ. авторовъ и юмористику. (Оба календаря гг. подписчики получатъ съ первымъ номеромъ журнала и газеты).

3 и 4) **двѣ большія картины** олеографіи (воспроизведенныя масляными краск. въ 22 тона, каждая размѣромъ 48×35) сантим.): І. Проповѣдь Іисуса Христа на озерѣ. II. Проводы княжны Анны Ярославны во Францію.

Подписная цѣна на журналъ и газету на годъ: 52 №№ иллюстриров. журн., 52 №№ политич. газеты, 12 ежемѣсяч. книгъ, 108 даровыхъ прилож., два календаря и двѣ большія карт. безъ перес. 4 р. Въ С.-Петербургѣ съ дост.—5 р. Съ упаковкой и перес. во всей Россіи—6 р. Разсрочка допускается: при подпискѣ—2 р., 1-го марта—1 р., 1-го іюня—1 р., 1-го августа—1 р. и 1-го сентября—1 р.—А также въ два и три срока по желанію.

Подписка адресуется исключительно въ редакцію «Родина» въ С.-Петербургъ, Литовская ул., собств. домъ, № 114. Редакторъ-изд. А. А. Каспари-

---

წიგნები იაკობ გოგებაშვილისა

მეფე ერეკლე და **ინგილო ქალი**, სახალხო და საყმაწვილო მოთხრობა, ორი სურათით, ფასი ერთი შაური.

მოსავლის მცველნი, ანუ ქირნახულისათვის სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, ოცდა-ხუთი სურათით, ფასი ერთი აბაზი.

კუნწულა, რომელშიაც მოთავსებულია საყმაწვილო მოთხრობანი: ჟორჟ-ზანდისა, ლაბულესი, დოდესი და ლევ ტოლსტოისა, ფასი ორი აბაზი.

ძირითადი უკუღმართობა, ანუ სამშობლო-ენის მნიშვნელობა კერძო ადამიანისა და მთელის ერისათვის, ფასი ერთი აბაზი.

Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку, რომელშიაც გარჩეულნი არიან სახელმძღვანელონი: ლევიცკისა, უშინსკისა, ვოლპერისა და ჩერნიაევსკისა. ფასი ათი შაური.

ეს წიგნები და სხვა ნაწერებიც გოგებაშვილისა იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებშიაც იქით და აქეთ საქართველოში. (15—4)

საფქვავი

წისქვილები

მზადდება ინჟენერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში

МУКОМОЛЬНЫЯ МЕЛЬНИЦЫ

паровыя, водяныя, конноприводныя

изготовляетъ какъ спеціяльность

машино-строительный заводъ инженеровъ

Яралова и Алиханова

въ Тифлисъ,

Александровская улица, собств. домъ

(100—77)

29-й годъ изданія.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

1898 г.

„НИВА“

выходящій еженедѣльно, со многими безплатнымъ приложеніями.

Гг. подписчики «НИВЫ» получатъ въ теченіе 1889 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала „НИВА“, заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 *гравюръ* и *рисунковъ*

Полное собраніе сочиненій И. С. ТУРГЕНЕВА,

которое явится ПЕРВЫМЪ по полнотѣ содержанія, такъ какъ въ него войдутъ „Стихотворенія“ Тургенева, не помѣщенныя въ прежнихъ изданіяхъ. Полное собраніе сочиненій Тургенева будетъ приложено къ „Нивѣ“ въ теченіе одного 1898 года, въ 12 томахъ, отп чатанныхъ на хорошо глазированной бумагѣ, еще болѣе четко, чѣмъ приложенія предыд щихъ лѣтъ, съ приложеніемъ автографа и портрета И. С. Тургенева, и будетъ выходи подъ заглавіемъ „Сборника Нивы“, по одному тому въ началѣ каждаго мѣсяца. Содерж ніе отдѣльныхъ томовъ слѣдующее:

Томъ I. Портретъ и факсимиле И. С. Тургенева. Предисловіе. Біографія И. С. Тургенова. Записки охотника. ТОМЪ II. Отцы и дѣти. Накануне. ТОМЪ III. Дымъ. Дворянское гнѣздо. Томъ IV, Новь, Рудинъ. Томъ V, Андрей Колосовъ, Бреттеръ, Три портрета, Жидъ, Путешковъ, Дневникъ лишняго человѣка, Три встрѣчи, Муму, постоялый дворъ, Томъ VI, Два пріятеля, Затишье, переписка, Яковъ пасынковъ, Фаустъ, Поѣздка въ полѣсье, Ася Томъ VII, первая любовь, призраки, Довольно, Собака, Исторія лейтенанта Ергунова, Бригадиръ, Несчастная, Странная исторія, Степной Король Лиръ, Томъ VIII, Вешнія воды, Стукъ... стукъ... стукъ! Пунинъ и Бабуринъ, Часы Сонъ, Разсказъ отца Алексѣя, Отрывки изъ воспоминаній, пѣснь торжествующей любви, Томъ IX. Клара Миличъ, Стихотворенія въ прозѣ, Стихотворенія, Томъ X, Вмѣсто предисловія, Неосторожность, Безденежье, Гдѣ тонко тамъ и рвется, Нахлѣбникъ, Холостякъ, Томъ XI, Завтракъ у предводителя Мѣсяцъ въ деревнѣ, Провинціалка, Разговоръ на большой дорогѣ. Вечеръ въ Соррентѣ, Томъ XII, Литературныя и житейскія воспоминанія, Критическія статьи и рѣчи, Некрологи, письма, переводы Хронологическій и алфавитный указатели.

Соч. Тургенева могутъ бытъ пріобрѣтены въ видѣ безплатнаго приложенія только съ теченіе 1898 г. и отдѣльно отъ «Нивы» не продаются.

12 КНИГЪ „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ“, которыя будутъ выходить при „Нивѣ“ въ серединѣ каждаго мѣсяца и содержать въ себѣ романы, повѣсти, разсказы и проч. современныхъ авторовъ.

12 №№ „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ.

12 ЛИСТОВЪ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 30 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно

„СТЕННОЙ КАЛЕНДАРЬ“ на 1898 г., печатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми вышеозначенными приложеніями: Безъ доставки въ СПБ. 5 р. 50 к. Съ доставкою въ СПБ. 6 р. 50 к. Бѣзъ доставки въ Москвѣ (въ конт. Н. Н. Печковской) 6 р. 25 к. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Россіи 7 р. за границу 10 р.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургъ, въ Главную Контору журнала «НИВА» (А. Ф. МАРКСУ), Малая Морская, д. № 22. ‹12—4›

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Декабря, 1897 г. სტამბა ქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28 რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.